



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ანგარიში

2024

წლიური ანგარიში

თავმჯდომარის მიმართვა

წლიური ანგარიში არის კარგი შესაძლებლობა შევაჯამოთ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა და დავსახოთ სამომავლო გეგმები. ჩვენს თანამოქალაქეებს კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია იმ პროგრამებსა თუ პროექტებზე, რომელიც მათი ინტერესების შესაბამისად და ქალაქის საკეთილდღეოდ ხორციელდება.

წლევანდელი წელი ისევე, როგორც განვილი პერიოდი გამოირჩეოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, სარეკრეაციო, სოციალური თუ კულტურული პროექტებით. ამგვარი პროექტების განხორციელება გვებმარება იმაში, რომ წარმატებით დავძლიოთ ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევები და შევქმნათ მიმზიდველი გარემო დედაქალაქის თითოეული მაცხოვრებლისთვის. ქალაქის ინტერესებზე მორგებული სწორი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია საკრებულოს თითოეული წევრის წვლილი.

ვიმედოვნებ მომავალი წელი ასევე იქნება დატვირთული ჩვენი ქალაქის და თანაქალაქელების კეთილდღეობისკენ მიმართული პროექტებით,

გიორგი ტყემალაძე

თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით**, ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი**. აქედან, **10 წევრი** – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **40 წევრი** – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 4 ფრაქცია



საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა


საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე, კონკურსის წესით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის



მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 14 სხდომა
- 24 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 788 საკითხი და მიღებული იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.



მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- * განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
- * თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
- * თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 წევრი
საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა **19** სხდომა

კომისიის ხდომებზე სულ განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული **379** საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის **363** ცვლილება.

კომისიის სხდომებზე განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის - გეგმარებითი დავალებები, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტები და განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტები.

ასევე, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით განხილულ იქნა სხვადასხვა პროექტები.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა **სხვადასხვა სახის** ცვლილება (10).

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შეთანხმებულ იქნა - **56 პროექტი**
- დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა **15 პროექტი**
- ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა **83** დადგენილების სხვადასხვა პროექტი

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ქალაქ თბილისის ფინანსურ სისტემაში - საბიუჯეტო სისტემების საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტების ფორმირების, ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვისა და სხვა საკითხებზე საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადების მიზნით, რაც მიმართული იქნება დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ შექმნილია **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**. კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს **12** წევრი.

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის **24** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები, საერთო ჯამში **334** საკითხი მათ შორის:

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის წლიური და 2024 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების **4** პროექტი. მიღებული იქნა **4** დადგენილება.
- ასავე მუნიციპალური ქონების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

● საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VII მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 29 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- * ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
- * დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- * ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- * თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 19 სხდომა


ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა 43 საკითხი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტი თავდაპირველი რედაქციით ჯამურად შეადგენდა 1 მილიარდ 763 მილიონ ლარს, რაც უპრეცედენტოდ გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

დღეის მდგომარეობით დედაქალაქის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა, შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გთვალისწინებით განხორციელდა, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და შეადგენს 2 მილიარდ 58 მილიონ ლარს.

დედაქალაქის ბიუჯეტის ზრდის ამგვარი ტენდენცია ცალსახად მოწმობს, იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, დედაქალაქისთვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.



2024 წელს მასშტაბური პროექტები განხორციელდა, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით. გაგრძელდა ავარიული კორპუსების ჩანაცვლების უნიკალური და უპრეცედენტო პროგრამა, ისევე როგორც ისტორიული არეალების

რეაბილიტაციის პროცესი. გაგრძელდა მიწის ნაკვეთების მნიშვნელოვანი მონაცვლეობები, რომელთა განხორციელებითაც მუნიციპალიტეტს მეტი ტერიტორია დაუბრუნდა, რაც თავის მხრივ, ქალაქში კიდევ უფრო მეტი სარეკრეაციო სივრცის შექმნას გულისხმობს.

თბილისის 2024 წლის ბიუჯეტი შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა
- ✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება
- ✓ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ✓ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ✓ განათლება; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- ✓ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

ტრანსპორტი

დედაქალაქში, ყოველთვიურად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით საშუალოდ, 12 000 000 მგზავრი სარგებლობს.

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, შესაბამისად სატრანსპორტო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსპორტით მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას კვლავ გრძელდება.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში არაერთი პროექტი დაიწყო და ხორციელდება საანგარიშო პერიოდშიც.

- ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა
- ტაქსების რეფორმა
- ელექტროდამტენები
- ახალი სადგომები
- ჭკვიანი შუქნიშნები
- საგზაო ნიშნები/დახაზვითი სამუშაოები
- მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია



➤ ავტობუსების და მიკროავტობუსების პარკი

- სრულად განახლდა ავტობუსების პარკი - სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზეა 950 თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი (ხაზებზე მოძრაობს დაახლოებით 722 ერთეული);
- სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 75 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion’s City” 18 C მარკის ავტობუსი;
- 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- 2024 წლის პირველ, მე-2 და მე-3 კვარტალში გატარებული ცვლილებებიდან გამომდინარე დედაქალაქში მოქმედ M3 კატეგორიის ავტობუსებით N301,302,308,310,314 მარშრუტებზე ეტაპობრივად ჩანაცვლდა შესახსრებული (18 მეტრი სიგრძის) ავტობუსები;
- მიმდინარეობს ახალი საავტობუსე ბაზის მშენებლობა

ურბანულად გადატვირთულ ქალაქში სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ყველაზე დატვირთული საზოგადოებრივი ტრანსპორტი დედაქალაქში არის მეტრო. დღევანდელი მონაცემებით, ყოველდღიურად ნახევარ მილიონზე მეტი მოქალაქე გადაადგილდება მეტროს საშუალებით. არსებულ მატარებლებს და მათ მოძრავ შემადგენლობებს (ვაგონებს) არაერთხელ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, განახლდა, გარკვეულწილად მოხდა მოდერნიზება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში დადგა მათი ახალი, თანამედროვე მატარებლებით შეცვლის საკითხი.

არსებული მოძველებული ტექნიკა ეტაპობრივად ჩანაცვლდება ახლით. პროექტით გათვალისწინებულია 212 ერთეული თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეტროს ვაგონის შესყიდვა. მათი ღირებულება დაახლოებით 475 მლნ ევროს შეადგენს.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება, აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2024 წელს, თბილისში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

❖ დასრულდა წერეთლის გამზირის რებილიტაცია

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში შეიცვალა და განახლდა ყველა ტიპის მიწისქვეშა კომუნიკაცია, მათ შორის წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე და გაზმომარაგების ქსელები. გამზირზე მოეწყო განათების ახალი ქსელი და დამონტაჟდა LED ლამპიონები.

მოპირკეთდა უსაფრთხოების კუნძულები. დამონტაჟდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელეები.

ასევე განხორციელდა ტროტუარების მოწყობის და გამწვანების სამუშაოები.

❖ დასრულდა ბოლო რამდენიმე ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. პროექტი დაიწყო 2021 წლის სექტემბრის ბოლოს და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა

ახალი ხიდი წარმოადგენს თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აგებულ ოთხხოლიანი საავტომობილო გზის მქონე კონსტრუქციას.

ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული მიმართულება ვაკე-საბურთალოსა და ბაგების დამაკავშირებელი მონაკვეთია. ახალი ხიდის საშუალებით შექმნილმა შემოვლითმა გზამ მნიშვნელოვნად განტვირთა ამ უბანზე საავტომობილო მოძრაობა და შეამცირა ქალაქში არსებული საცობები.

ბაგები-უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო სახიდე გადასასვლელი, რომელიც უკვე არსებული საფეხმავლო ხიდის გასწვრივ აშენდა, 260 მეტრი სიგრძისაა და ოთხი სამოდრაო ზოლისგან შედგება, ხოლო მანძილი წყნეთის გზატკეცილიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე 532 მეტრია. საავტომობილო ხიდის მშენებლობის ფარგლებში მოეწყო ტროტუარები, გარე განათების ქსელი და LED სანათები, დამონტაჟდა მოაჯირები, ხიდის სავალ ნაწილზე ჩატარდა საიზოლაციო სამუშაოები, მოეწყო სანიაღვრე სისტემა და დაიგო ასფალტის რამდენიმეფენიანი საფარი. ამასთან ერთად, მოეწყო ხიდთან მისასვლელი გზები და სატრანსპორტო კვანძები როგორც უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან, ასევე ბაგების დასახლების მხარეს, თბილისი-წყნეთის საავტომობილო გზასთან.




❖ წყნეთის გზატკეცილის სრული რეაბილიტაცია დასრულდა

პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვალა ყველა ტიპის მიწისქვეშა კომუნიკაცია, მოეწყო ახალი სანიაღვრე ქსელი, გარკვეულ მონაკვეთებში გზის სავალი ნაწილი გაგანიერდა, უსაფრთხოებისთვის რკინაბეტონის ფერდის დამცავი კედლები აშენდა, ასევე, არსებული ტროტუარები რეაბილიტირდა, ხოლო სადაც არ არსებობდა, ახალი ტროტუარები მოეწყო.

ქუჩაზე დამონტაჟდა გარე განათების ქსელი Led სანათებით, მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები, სავალი ნაწილი დაიხაზა და სატრანსპორტო ნიშნები განთავსდა. ასევე, განახლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები და მოეწყო მიწისქვეშა ურნები.

გზის მიმდებარედ არსებული თარგებისა და გზის შუა გამყოფი კუნძულები გამწვანდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე 2 659 ნერგი დაირგო, ასევე 3 200 მ2 ფართობზე ბალახი დაითესა და სარწყავი სისტემა მოეწყო. გარდა ამისა, საგზაო ინფრასტრუქტურა ადაპტირდა შშმ პირებისთვის.



- ❖ მიხეილ თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოები დასრულდა - ჩვენი ქალაქისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც გაამარტივებს და უსაფრთხოს გახდის როგორც ქვეითთა, ისე ავტომობილების გადაადგილებას. ამ ადგილზე ხშირი იყო შეფერხება და საცობები. აღნიშნული პროექტი კი, ახალი დაგეგმარებით, ტროტუარებით, შუქნიშნებით მოძრაობას მნიშვნელოვნად განტვირთავს.



❖ 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში, მიწისქვეშა კომუნიკაციები შეიცვალა. გარდა ამისა, ტროტუარები მოწესრიგდა, გაფართოვდა, დამონტაჟდა ლედ სანათები, ელექტროსადენები მიწისქვეშა გაწაფდა.



❖ დაიწყო უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის და გვირაბის მშენებლობა

ახალი გვირაბი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება და გასასვლელი მიხეილ შავიშვილის ქუჩას შეუერთდება, რომელიც პეტრე ქავთარაძის ქუჩასთან არის დაკავშირებული. უკვე დასრულებულია საექსკავაციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი. უახლოეს მომავალში მოეწყობა ხიმინჯები ფერდის გამაგრებისთვის. გვირაბს ექნება მისასვლელ-გამოსასვლელი პანდუსები და ტროტუარები. ასევე გვირაბის გასწვრივ რკინა-ბეტონის დამცავი კედლები აშენდება.




ახალ პროექტში გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა, თითო ზოლი თითო მიმართულებით, რაც კიდევ უფრო განტვირთავს მოძრაობას და შეამცირებს საცობების რაოდენობას.

აღნიშნული პროექტი, 2025 წლის იანვარში დასრულდება.



❖ საზაფხურო

რუსთველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელმა საზაფხურო გზამ, რომელიც თბილისის საკურორტო ბარათი იყო, სრული რეაბილიტაციის შედეგად ახალი სიცოცხლე შეიძინა. სრულიად იქნა აღდგენილი ისტორიული შენობა, რომელიც უნიკალურია თავისი არქიტექტურით.



მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ასევე, მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

- ვარკეთილის დასახლებაში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ამოქმედების შემდეგ ყოველთვიურად 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება.

მულტიფუნქციურ ცენტრში განთავსდება სხვადასხვა ტიპის დარბაზები, ტრენაჟორების სივრცე ფიტნეს-დარბაზთან ერთად; ორი საცურაო აუზი; კაფე; სპორტული ინვენტარის მაღაზია; მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა; საკონფერენციო დარბაზი; სახელოვნებო სკოლა; სამაგიდო თამაშების სივრცე. ცენტრს ექნება მიწისქვეშა პარკინგი.

- მთაწმინდის რაიონში მულტიფუნქციური ცენტრი გაიხსნა. ამ პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ასათიანის ქუჩაზე ისტორიულად მდებარეობდა საკალათბურთო დარბაზი. აშენდა ახალი შენობა, სადაც განთავსებულია საკალათბურთო და საფეხბურთო მოედანი, ასევე, ფიტნეს სივრცე გასახდელებითა და საშხაპეებით. ცენტრი ყოველმხრივ კეთილმოწყობილია.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი ჩართული იქნება საპენსიო ასაკის მქონე პირთათვის განკუთვნილ პროგრამაში.

➤ დიდ დილოში მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა

პროექტით გათვალისწინებულია ყველა სივრცე ვარჯიშისა და დასვენებისთვის. კალათბურთის, ფეხბურთისა და საჭიდაო დარბაზები, ტანვარჯიშისა და ტრენაჟორებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები, ორი დიდი აუზი - პატარებისა და ზრდასრულებისთვის დარბაზებისა და აუზების გარდა, ცენტრში ასევე განთავსდება კრივის რინგი, ხმის ჩამწერი სტუდია, კაფე, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, სახელოვნებო სკოლა, საკონფერენციო დარბაზი და სამაგიდო თამაშების სივრცე. ცენტრს ასევე აქვს მიწისქვეშა პარკინგი.



ძველი თბილისის რეაბილიტაცია

- ❖ თბილისის განვითარების ფონდი, მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები განაახორციელა.

რეაბილიტაციის I ეტაპზე შენობა კონსტრუქციულად გამაგრდა, რეაბილიტირდა კომუნიკაციები, მოეწყო სადრენაჟე სისტემა, დაისხა ფილები, მოეწყო გათბობის სისტემა, გაიწმინდა აგურის კედლები, დამონტაჟდა რკინის შიდა კარი და ფანჯრები, მოეწყო სველი წერტილები და სართული სრულად ადაპტირდა შშმ პირების საჭიროებებზე.

მეორე ეტაპზე გაილესა და შეიღება კედლები და ჭერი, რესტავრირდა ჭერის კარნიზების ნაწილები, გამოიცვალა თუნუქის სახურავი, მუშტაიდის ბაღის მხარეს შემოიღობა ტერიტორია.

დასრულდა ფასადის მხატვრული მინათების და კედლის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოები, ასევე წინა ეზოს კეთილმოწყობა.




- ❖ თბილისის განვითარების ფონდი დარეჯანის სასახლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებს.



- ❖ დაიწყო ნარიყალას ციხის მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები

- ❖ თბილისის განვითარების ფონდი, პროექტ „ახალი ტფილისის ფარგლებში“

წინამძღვრიშვილის N1-ში მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს




გამწვანება და ეკოლოგია

დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

- ❖ თემქის ხევი - დედაქალაქში გაიხსნა კიდევ ერთი ახალი, ყველაზე დიდი დასასვენებელი სივრცე. ზღვის უბანში 25 ჰექტარზე გაშენებული საქალაქო მნიშვნელობის პარკი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური სარეკრეაციო პროექტია.


მშენებლობა ნულიდან დაიწყო და 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. წინასაპროექტო კვლევების შემდეგ დასუფთავდა დაჭაობებული ნაგავსაყრელი, მოეწყო ყველა საკომუნიკაციო ქსელი და ამ დრომდე აუთვისებელ ტერიტორიაზე გაშენდა ულამაზესი მულტიფუნქციური პარკი.



❖ დასრულდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ირაკლი ციციშვილის სახელობის პარკის რეაბილიტაცია.

გასულ წელს პირველი ეტაპის სამუშაოები ჩატარდა, ხოლო წელს უკვე სრულად რეაბილიტირდა 24 600 კვ.მ ფართობის პარკი.



რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო სამი საბავშვო მოედანი, ორი სავარჯიშო სივრცე; სრულად განახლდა საფეხბურთო მოედანი, შეიცვალა კალათბურთის მოედნის ინფრასტრუქტურა, მოეწყო ექვსი დასასვენებელი პავილიონი და სასმელი წყლის ხუთი შადრევანი. მოეწყო აგრეთვე გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. სკვერში ჩატარდა გამწვანების სამუშაოები.



❖ კიდევ ერთი დასასვენებელი სივრცე შეემატა დედაქალაქს. ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის 75-ში, 3400 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე რეაბილიტირდა სკვერი.

სამუშაოების შედეგად მოეწყო ბავშვთა გასართობი მოედანი, კომბინირებული სტადიონი და ფიტნეს ზონა, ასევე მოეწყო ველოპარკინგი და დამონტაჟდა ახალი საპარკო ავეჯი.

რეაბილიტაციის ფარგლებში სკვერის ტერიტორია სრულად გამწვანდა და დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხემცენარეები.




❖ ლორთქიფანიძის N28-ში დასასვენებელი სივრცე 1200 კვ. მ ტერიტორიაზე მოეწყო, სადაც სპორტული მოედანი და საბავშვო-გასართობი სივრცე განთავსდა. ჩატარდა გამწვანების სამუშაოებიც. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსი უნდა აშენებულიყო, მაგრამ მერიამ მესაკუთრესთან ადგილმონაცვლეობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია, რის შედეგადაც ამ ადგილას სკვერი მოეწყო.

❖ ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში რეაბილიტაცია არსებულ სკვერს ჩაუტარდა. სამუშაოების შედეგად განახლებულ სკვერში საპარკო ავეჯი განთავსდა, საბავშვო-გასართობი ზონა მოეწყო, 51 ხე და 107 ბუჩქი დაირგო. ასევე სპორტული აქტივობების მოყვარულთათვის ჩოგბურთის სათამაშო კუთხე და კალათბურთის მინი მოედანი განთავსდა.


❖ ნუცუბიძის II მიკრორაიონის III კვარტალში კი ახალი დასასვენებელი სივრცე გაჩნდა, იქ სრულად გამწვანდა ტერიტორია, საბავშვო-გასართობი ზონა და მინი სპორტული მოედანიც მოეწყო

❖ დიღმის მასივში ახლად რეაბილიტირებული სკვერები გაიხსნა




თბილისს კიდევ არაერთი ლამაზი დასასვენებელი, მწვანე სივრცე შეემატა:

- * ვაზისუბნის დასახლებაში არსებული პარკი
- * ტექსელის სახელობის პარკი
- * მაიაკოვსკის სახელობის პარკი
- * ვარკეთილში, რ. ხომლელისა და გ. აბაშვილის ქუჩების კვეთა ე. წ. “დამპალოს” სკვერი
- * ლიბანის ქ. № 5 არსებული სკვერი
- * ნონეშვილის და გობრონიძის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი
- * საცხენის №20-ის მიმდებარედ არსებული სკვერი
- * ლილოს დასახლებაში არსებული სკვერი
- * ბორის პაიჭაძის ქუჩაზე არსებული ბულვარი
- * ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში არსებული პარკი
- * ვარკეთილის IV მიკრორაიონში, 414-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი
- * წერეთლის გამზირისა და გოგოლაურის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი
- * მუხიანში, 4ბ მიკრორაიონში არსებული სკვერი;



❖ მიმდინარეობს ვერის პარკის რეაბილიტაცია



სამგორის რაიონში, ვარკეთილში, შვედეთის საელჩოს მხარდაჭერით გაშენების აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 133 კიპარისი დაირგო 🌲

დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია და ამგვარი ღონისძიებები დედაქალაქის მასშტაბით უკვე ტრადიციად იქცა.



ეკოლოგიის მიმართულებით კიდევ ერთი სიახლე ჩვენი დედაქალაქისთვის.

მუნიციპალიტეტის ავტოპარკს 65 ერთეული სპეცტექნიკა შეემატა, აქედან უმეტესი ნაწილი უკვე ადგილზეა და დანარჩენი წლის ბოლომდე ეტაპობრივად შემოვა.

ტექნიკა განკუთვნილია მყარი ნარჩენების შეგროვება-გადატანისთვის, სხვადასხვა საგზაო სამუშაოსთვის, სანიაღვრე ქსელის მაღალი წნევით წმენდისთვის. ჩვენს ავტოპარკს აგრეთვე შეემატა რამდენიმე სახის ტვირთამწეობის თვითმცლელი.

სპეცტექნიკა დამზადებულია წამყვან ევროპულ ქარხნებში და შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს. განახლებული ტექნიკით აღჭურვილი შესაბამისი სამსახურები სწრაფად და სრულყოფილად შეძლებენ ყველა საჭირო სამუშაოს შესრულებას და დედაქალაქის ქუჩები კიდევ უფრო სუფთა და მოწესრიგებული იქნება. მთლიანად აღმოიფხვრება სხვადასხვა ტიპის ტექნიკური ხასიათის შეფერხებები, რაც დადებითად აისახება თბილისის მცხოვრებლების და სტუმრების ცხოვრების ხარისხზე.



ჯანმრთელობის დაცვა

დედაქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები. ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული პროგრამების მოსარგებლეთა რაოდენობა.

ჯანდაცვის სფეროში:

- დაავადებათა სკრინინგი
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა
- „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ტრანსპლანტაცია
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- აფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალურ სფეროში:

- კომუნალური სუბსიდირება
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და მოწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება
- სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- ომის ვეტერანთა დახმარება
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება
- „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება
- შინმოვლის თანადაფინანსება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა
- სოციალური მზრუნველობის სააგენტო
- სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- უფასო სასადილოები რაიონებში
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით აღნიშნული პროგრამებს 2023 წელს დაემატა ახალი პროგრამა

- ენდოპროთეზირების პროგრამა


„სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამის განხორციელება დაიწყო - მუნიციპალიტეტი მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრის ხელოვნური იმპლანტით შეცვლის საჭიროების მქონე პირებს დააფინანსებს. ახალი პროგრამის მიმდინარე წლის ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარი იქნება.

ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უკვე არსებულ პროგრამებში

- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების 100% ფინანსდება
- თბილისის მერიის ტრანსპლანტაციის პროგრამის ფარგლებში ღვიძლისა და ძვლის ტვინის (დეროვანი უჯრედების) გადანერგვა სრულად, 100%-ით ფინანსდება.

პროგრამის ფარგლებში, ერთი პაციენტისთვის 120 000 ლარი გამოიყოფა, ადრე კი აღნიშნული მკურნალობა მხოლოდ 70 000 ლარით ფინანსდებოდა.


აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიის „სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამით 196 ბენეფიციარი, „500-ლარიანი მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში კი 125 966 მომართვა დაფინანსდა.



ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა ჩვენი უპირველესი საზრუნავია. წლების განმავლობაში ჯანდაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და განხორციელებული პროექტები ამის დადასტურებაა.

სრულფასოვანი მკურნალობა და მოქალაქეზე უწყვეტი ზრუნვა იყო და არის ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი. ქართული სახელმწიფოსა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება.

პაციენტების, სახელმწიფო სტრუქტურების, ექიმების, მედიის, კერძო სექტორის ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ონკოლოგიურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სრულფასოვანი მკურნალობა. სიცოცხლის შანსი მიეცა უამრავ ადამიანს.



მუნიციპალური ქონების მართვა

- დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთა დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად საანგარიშო პერიოდში 150 - მდე ოჯახი დაკმაყოფილდა სცხოვრებელი ფართებით.

2017 წლიდან დღემდე 3000-მდე ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში.

- 2017 წლიდან ხორციელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების პროგრამა, ამ პერიოდის განმავლობაში, 2 380 ოჯახია დაკმაყოფილებული. კოოპერატივის წევრებისთვის გადაცემული და გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა, დაახლოებით, 47 000 კვ. მეტრს შეადგენს. ამასთან, ინვესტორი კომპანიების მიერ აღნიშნული სამშენებლო პროექტების სრულად განსახორციელებლად გასაწევი საინვესტიციო ღირებულება შეადგენს, დაახლოებით, 175 მლნ აშშ დოლარს

- უმნიშვნელოვანესია სამშენებლო კომპანიების და მოქალაქეების დახმარება, გაჩერებული მშენებლობების დასრულების მიზნით. თბილისის მერია და საკრებულო, კერძო სამშენებლო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

- ასევე გრძელდება, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტი. პროექტის ფარგლებში ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში პირველი პროექტი დასრულებულია. პროგრამის ფარგლებში, ავარიული 4-სართულიანი შენობის ნაცვლად 10-სართულიანი, თანამედროვე სტანდარტების მქონე საცხოვრებელი სახლი აშენდა. გარდა ამისა, კომპლექსურად მოწესრიგდა როგორც ამხანაგობის საკუთრებაში არსებული კორპუსის ეზო, ასევე მიმდებარე ტერიტორია. გარდა ამისა, განახლდა მოძველებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, პრობლემებს უქმნიდა მოქალაქეებს.

სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია კიდევ სამ მისამართზე:

✚ სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კალოუბნის ქუჩა N18+8

✚ საბურთალოს რაიონი, გამრეკელის I შესახვევი N6

✚ სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 4, კორპუს

უახლოეს მომავალში სამშენებლო ტენდერი გამოცხადდება კიდევ ორ მისამართზე: სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 10, კორპუსი 9 და სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 3, შუამთის ქუჩა N40ა. აღნიშნული მშენებლობების შედეგად, პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილდება 221 მესაკუთრე.

დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში პროექტირება მიმდინარეობს 20 მისამართზე, პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე მოსახლეობასთან 100%-იანი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში დაკმაყოფილდება 900-მდე მესაკუთრე. მოლაპარაკებისა და დოკუმენტაციის შესწავლის რეჟიმშია ათამდე მისამართი. პროექტის განხორციელების პროცესში, ორი წლის მანძილზე დამუშავდა 130-ზე მეტი მისამართი და შეხვედრა შედგა 2000-ზე მეტ მოქალაქესთან.



განათლება და კულტურა

მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით მიმდინარეობს არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა

- სამგორი რაიონში N64 საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები განხორციელდა

N64 საბავშვო ბაღი თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იქნება, სადაც 15 ჯგუფი გაიხსნება და სკოლამდელ განათლებას 500-მდე აღსაზრდელი მიიღებს. საბავშვო ბაღი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე სტანდარტებთან. შენობა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების, ასევე, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით; ადაპტირებულია შშმ პირთათვის; დაცულია ბავშვთა უსაფრთხოების ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტი.


უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. აფრიკის დასახლებაში ამჟამად მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, რის გამოც მოთხოვნა სერვისებზე საკმაოდ მაღალია. ახალი ბაღის გახსნის შედეგად, ეს მოთხოვნა სრულად იქნება დაკმაყოფილებული.



▪ N89 საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

განახლებული ინფრასტრუქტურა და ეზო, ახალი ფლიგელი და დამატებით 4 სააღმზრდელო ჯგუფი - ასეთია N89 საჯარო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის შედეგი. N89 ბაგა-ბაღის შენობა რეაბილიტაციამდე მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შენობის გარკვეული ნაწილის დემონტაჟი, აშენდა ახალი ფლიგელი, ხოლო 12-ჯგუფიან ბაღს კიდევ ოთხი სააღმზრდელო ჯგუფი დაემატა. შენობა აღჭურვილია ბავშვთა უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით - დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდუოსამეთვალყურეო სისტემები.

პროექტი თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ბიუჯეტიდან 4 408 895 ლარით დაფინანსდა.



▪ ისნის რაიონში მდებარე N109 საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს

საბავშვო ბაღი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარეობს, ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია, რადგან საჯარო ბაგა-ბაღი 20-ჯგუფიანი იქნება და 600 აღსაზრდელს მოემსახურება. აღნიშნული ბაღის მშენებლობა დასასრულისკენ მიდის და 2024 წლის ბოლომდე მისი სრულ ექსპლუატაციაში მიღება იგეგმება. პროექტის ღირებულება 6,9 მილიონი ლარია.

„ახალ N109 ბაღის შენობაში დამონტაჟდება უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, დაინერგება სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა - HACCP, ბაღის შენობა ენერგოეფექტური მასალებით აშენდება და მოპირკეთდება. ბაღს ექნებასათამაშო მოედნები, ღია ტერასები და ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალებისგან დამზადებული ატრაქციონები. შენობა შშმ პირთათვის ადაპტირდება და ბავშვთა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება.“ - განაცხადა კახა ლაბუჭიძემ.

N109 საბავშვო ბაღის ძველი შენობის დემონტაჟი ავარიულობის გამო განხორციელდა, მის ნაცვლად კი ახალი ბაღი აშენდება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ბავშვთა უსაფრთხოების ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტანდარტს და შექმნის ყველა პირობას საგანმანათლებლო დაწესებულების სათანადო ფუნქციონირებისათვის.



